პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 14 (6079) 19 იანვარი. ხუთშაბათი. 1978 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# საქართველოს სსრ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება

17 იანვარს თბილისში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომათა დარბაზში გაიმართა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება. კრებაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, მინისტრები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, საწარმოო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მუშაკები, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს წარმომადგენლები.

კრების პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები პ. გ. გილაშვილი, შ. დ. კიკნაძე, გ. ვ. კოლბინი, პ. ვ. მელნიკოვი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. მ. სირაძე, ე. ა. შევარდნაძე, ზ. ა. ჩხეიძე, თ. ი. მოსაშვილი, ჟ. ქ. შარტავა, ხ. ე. ხაბეიშვილი.

კრების დღის წესრიგშია — სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილი პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, საბჭოთა კავშირის მშრომელებს „1978 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისთვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლის გაძლიერების შესახებ", რესპუბლიკის 1977 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების შედეგები და 1978 წლის სოციალისტურ ვალდებულებათა მიღება.

კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ე. ა. შევარდნაძემ.**

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **ზ. ა. პატარიძემ.**

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **რ. მ. გიორგაძე**, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **ბ. თ. ლობჟანიძე**, ქუთაისის სერგო ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის დირექტორი ამხ. **ვ. ი. ხარებავა**, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი ამხ. **გ. პ. გამცემლიძე**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსი ამხ. **ბ. ა. ზაუტაშვილი**, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ამხ. **გ. დ. ყიფიანი**, თბილისის ფოლადთუჯსამსხმელო ქარხნის მეკოპეთა ბრიგადირი, ამხ. **გ. ნ. კურტანიძე**, ხობის რაიონის სოფელ ახალხიბულის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. **შ. ლ. კემულარია.**

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ე. ა. შევარდნაძემ.**

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს საქართველოს სსრ მშრომელთა 1978 წლის სოციალისტური ვალდებულებანი (საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის მოწვევის შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი IX პლენუმი მოწვეულ იქნეს 1978 წლის 10-11 თებერვალს შემდეგი დღის წესრიგით: „საქართველოს სს რესპუბლიკაში პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა და „სამეურნეობათშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების თაობაზე" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების ღონისძიებათა შესახებ".

ამ საკითხზე მომხსენებლად დამტკიცებულია ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე.

## სტუმრად დმანისელ მეგობრებთან

დმანისის რაიონს ამას წინათ სტიქიური უბედურება დაატყდა თავს — მიწისძვრამ საგრძნობლად დააზიანა რაიონის ბევრი სოფელი, რაიონული ცენტრის შენობები.

და აი, ფეხზე დადგა ჩვენი რესპუბლიკა, შეიქმნა მთავრობის კომისია, რომელიც მაშინვე ადგილზე გაეცნო მდგომარეობას და დაისახა მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის კონკრეტული და ოპერატიული ღონისძიებანი. დმანისის დანგრეული სოფლების აღდგენაზე შეფობა იკისრეს დედაქალაქის რაიონებმა, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა, სხვადასხვა სამინისტრომ, საწარმომ თუ ორგანიზაციამ.

თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა გადაწყვიტა შეფობა გაეწია და დახმარების ხელი გაეწვდინა დმანისელ კოლეგებსა და ფიზკულტურელებისათვის. ამას წინათ დმანისს ეწვივნენ თბილისის სპორტკომიტეტის ხელმძღვანელები, „დინამოს" ოსტატ კალათბურთელ ვაჟთა გუნდის წევრები, მოკრივეები. სტუმრებმა დმანისელ სპორტსმენებს გადასცეს დიდძალი სპორტული ინვენტარი და რაიონულ სპორტულ ორგანიზაციებზე შეფობა და დახმარება აღუთქვეს მასპინძლებს. დედაქალაქის სპორტული დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე გ. ყირმელაშვილი, შეხვდა დმანისის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს მ. ყულიევს, დმანისელ ფიზკულტურელთა თავკაცს ა. ალიევს და რაიონის სხვა ხელმძღვანელ მუშაკებს.

ა. კოტორაშვილი
(ჩვენი სპეც. კორ.).





# დიდი წარმატება

## ზურაბ აზმაიფარაშვილს — ოქრო
## ქეთევან მელაშვილს — ვერცხლი

კაპსუკასი (ლიტვა), 18 იანვარი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის გოგონათა და ჭაბუკთა ჩემპიონატებში გუშინ გაიმართა დასკვნითი, IX ტურის შეხვედრები. ყურადღების ცენტრში იყო ჩემპიონობის კანდიდატთა პარტიები.

ჭაბუკთა ტურნირის ლიდერი ზ. აზმაიფარაშვილი შეხვდა აზოსს (მოსკოვი). მეტოქეებმა სიცილიური დაცვა გაითამაშეს. მოსკოველმა იერიშის შანსი რომ ვერ მოიპოვა, მე-14 სვლაზე მეტოქეს ყაიმი შესთავაზა. რა თქმა უნდა, თბილისელმა მოჭადრაკემ წინადადება მიიღო და 7,5 ქულით I ადგილი და სსრ კავშირის ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა.

შემდეგ ადგილებზე გავიდნენ: II. კუპოროსოვი (რსფსრ) — 6,5, III. ჩერნინი (უკრაინა) — 6,5, IV. კორზუბოვი (ბელორუსია) — 6,5, V. ფიოდორჩუკი (რსფსრ) — 6, VI. ნოვიკოვი (უკრაინა) — 6, VII. აზოსი — 6.

ე. ეფიმოვი 3,5 ქულით XXV ადგილზეა. მან დასკვნით ტურში წააგო ეპიშინთან (ლენინგრადი).

გოგონათა შეჯიბრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ე. სტუპინა (მიჩურინსკი) — ნ. მელაშვილისა და ქ. მელაშვილ — პეტროვას (ყაზახეთი) პარტიები.

შესანიშნავად ითამაშა ქ. მელაშვილმა. მან პოზიციურ თამაშში აჯობა ყაზახეთის წარმომადგენელს და 30-ე სვლაზე გაიმარჯვა. ახლა საჭირო იყო მის დას ნინოს ყაიმით მაინც დაემთავრებინა შეხვედრა, რომ ქეთევანი ჩემპიონი გამხდარიყო. ნ. მელაშვილი თავიდან მარჯვედ თამაშობდა, მოგების შანსიც მიიღო, მაგრამ იერიშის დროს რაღაც გამორჩა და უხარისხოდ დარჩა. ამან შეატრიალა პარტიის ჩარხი. შემდეგ ამაოდ ცდილობდა ნინო პარტიის გადარჩენას. 41-ე სვლაზე იგი დამარცხდა.

ამრიგად, სტუპინამ და ქ. მელაშვილმა 7,5-7,5 ქულა მოაგროვეს, მაგრამ კოეფიციენტთა ცხრილმა I ადგილი და ჩემპიონის წოდება სტუპინას არგუნა. ქ. მელაშვილი, როგორც 1977 წლის ჩემპიონატში, II ადგილზე გავიდა.

შემდეგ საპრიზო ადგილებზე არიან: III. რუჩიევა (სევასტოპოლი) — 6, IV. სიტნიკოვა (ლენინგრადი) — 6, V. შაფრანსკაია (ლიტვა) — 5,5, VI. ზაგორსკაია (ბელორუსია) — 5,5, VII. ნ. მელაშვილი — 5.

თ. მესხი, რომელიც იმ დღეს ლელჩუკთან (უკრაინა) დამარცხდა, 4 ქულით XV ადგილზეა.

შეჯიბრების საზეიმო დახურვაზე ე. სტუპინასა და ზ. აზმაიფარაშვილს ჩემპიონის ოქროს, ქ. მელაშვილსა და კუპოროსოვს კი ვერცხლის მცირე მედლები გადაეცათ.

შეჯიბრების ალამი ახალმა ჩემპიონებმა დაუშვეს.

ჩემპიონატების მთავარმა მსაჯმა, ჟურნალ „შახმატი ვ სსსრ"-ის რედაქტორის მოადგილემ, საერთაშორისო ოსტატმა და არბიტრმა მ. იუდოვიჩმა განაცხადა:

— ამ შეჯიბრებაშიც თავი ისახელეს საქართველოს მოჭადრაკეებმა. საუცხოო შთაბეჭდილება დასტოვეს ზურაბ აზმაიფარაშვილმა და ქეთევან მელაშვილმა.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა, 18 წლის აზმაიფარაშვილმა დაუმარცხებლად განვლო ძნელი შეჯიბრება: ექვსი პარტია მოიგო და სამი ყაიმით დაამთავრა. ჭაბუკი მოჭადრაკის გააზრებული თამაში კარგი მომავლის საწინდარია.

აზმაიფარაშვილის გამარჯვება იმითაცაა საინტერესო, რომ ჭაბუკთა შორის სსრ კავშირის ჩემპიონი საქართველოდან უკანასკნელად 1946 წელს ტიგრან პეტროსიანი იყო. 32 წლის შემდეგ ამ წოდებას ქართველ მოჭადრაკეთა ახალი თაობის წარმომადგენელი დაეუფლა.

შეჯიბრების დებულებით, აზმაიფარაშვილი მიწვეულია სსრ კავშირის ვაჟთა 46-ე ჩემპიონატის საკავშირო შესარჩევ ტურნირში, რომელიც დაუგავპილსში (ლატვია) ივნის-ივლისში გაიმართება.

ბედმა კვლავ არ გაუღიმა ქეთევან მელაშვილს. შარშანაც მეორე ადგილზე გავიდა. მაშინ იგი დამარცხდა ბოლო დღეს. წლეულს ქეთევანი ბევრად უკეთესად თამაშობდა, პარტიებიც შინაარსიანი ჰქონდა. მეტს მოველოდით მისი დისგან. ვერც ნინოს გაამტყუნებ სტუპინასთან შეხვედრაში შეცდომის გამო. მოსაგები პოზიცია შექმნა და ლოგიკურ დასასრულამდე უნდოდა მისი მიყვანა, მაგრამ შეცდომებისგან არავინაა დაზღვეული.

ვფიქრობ, საქართველოს მოჭადრაკეებმა საერთო ჯამში წარმატებით ითამაშეს.

სსრ კავშირის ჭაბუკ მოჭადრაკეთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, საერთაშორისო ოსტატმა ა. ბიხოვსკიმ გვითხრა:

— აზმაიფარაშვილმა ძალიან მოგვაწონა თავი მუყაითი და განსწავლული თამაშით. ამიტომ იგი ჩავრიცხეთ საბჭოთა ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრებში, რომელიც 1 მარტიდან მეცადინეობას შეუდგება წახკაძორში.

ბოლოს ვესაუბრეთ სსრ კავშირის ჭაბუკთა შორის ჩემპიონს. აზმაიფარაშვილმა თქვა, რომ დიდად გახარებულია წარმატებით. ამ მიღწევას, პირველ ყოვლისა, უმადლის თავის მწვრთნელს ოსტატ ე. უბილავას და ოსტატ თ. ლომაიას, რომელიც მას კაპსუკასში ეხმარებოდა.

ვ. არნშტეინი.

## რიაზანში საასპარეზოდ

ჭადრაკი

20 იანვარს რიაზანში დაიწყება სსრ კავშირის სოფლის მოჭადრაკე ვაჟთა პირველობა. სხვადასხვა რესპუბლიკის 48 წარმომადგენელი, მათ შორის 24 ოსტატი, შეუდგება ბრძოლას ნახევარფინალურ ტურნირში, რომელიც შვეიცარიული სისტემით (11 ტური) ჩატარდება. ამ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი მონაწილეობას მიიღებენ ფინალურ ტურნირში, რომელსაც 1 მარტიდან შავიზღვისპირა ქალაქი ნიკოლაევი უმასპინძლებს.

ნახევარფინალში საასპარეზოდ გაემგზავრნენ „კოლმეურნის" მოჭადრაკეები, ოსტატები ა. ბოკუჩავა, თ. კიკიანი, ოსტატობის კანდიდატები მ. ჭიპაშვილი და გ. თორია. განსაკუთრებით საინტერესოა ამ ტურნირში 13 წლის ზუგდიდელი გ. თორიას მონაწილეობა. შარშან გოჩა სოფლის ჭაბუკ მოჭადრაკეთა შორის სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა. სწორედ ამ წარმატებისთვის დაუშვეს იგი მოზრდილებთან საპაექროდ.

შეჯიბრება რიაზანში 2 თებერვლამდე გასტანს.

# საბრძოლო განწყობით

გუშინ ბად-კისინგენში (გფრ) გაიხსნა მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტების, დიდოსტატების მაია ჩიბურდანიძისა და ალა კუშნირის ფინალური მატჩი.

გუშინწინ კი მაიას 17 წელი შეუსრულდა. დაბადების დღე მისთვის უჩვეულო და მეტად სასიხარულოდ აღინიშნა — სასტუმრო კურჰოტელში, სადაც მაია ცხოვრობს, აწკრიალდა ტელეფონი: ზარზეა თბილისი!

მაიამ მიიღო მილოცვა და მისი ნიჭის თაყვანისმცემელთა დიდი სურვილი მატჩში გამარჯვებისა. თავის მხრივ მან შეგვატყობინა, რომ განწყობილება საბრძოლო აქვს.

— ბად-კისინგენში ამინდიც თბილისურია, — დასძინა მაიამ, — და თუმცა ამ ქალაქსა და თბილისს შორის დროის სხვაობა სამი საათია, თავს შესანიშნავად ვგრძნობ.

ჩვენი ახალგაზრდა მოჭადრაკეების ზ. აზმაიფარაშვილისა და ქ. მელაშვილის წარმატების ამბით დიდად გახარებულმა მაიამ გვთხოვა მოკითხვა და კეთილი სურვილები გადაგვეცა მათთვის, ყველა მისი ქომაგისთვის.

ბად-კისინგენი — თბილისი.
(ტელეფონით).

# ამოცანა — მშრომელთა ჯანმრთელობა

**გაიმართა** საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც მოისმინა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის **ნ. ლაკიას** მოხსენება „საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის პირველადი ორგანიზაციების ამოცანები ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების გადაწყვეტილებათა შუქზე".

მომხსენებელმა და კამათში გამოსულებმა, თბილისის მაუდკამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარემ **ე. ბუაძემ**, ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის" მუშამ, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა **გ. რიმნისთაველმა**, ტრიკოტაჟის თეთრეულის საწარმოო გაერთიანების დირექტორის მოადგილემ, სპორტრიკო კომიტეტის თავმჯდომარემ **გ. გიორგობიანმა**, 1-ლი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მუშამ **მ. მაჩაიძემ**, გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატის დირექტორმა **გ. შარიქაძემ**, ბათუმის სამკერვალო გაერთიანების საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარემ **თ. ესებუამ**, ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ფიზკულტურის ინსტრუქტორმა **ვ. მიქაძემ**, სოხუმის ტყავფეხსაცმლის კომბინატის საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარემ **დ. უბილავამ**, მახარაძის აბრეშუმის ძაფსალები ფაბრიკის ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარემ **გ. გობრონიძემ** და სხვებმა ილაპარაკეს იმ მუშაობაზე, რაც ფიზკულტურისა და სპორტის მეშვეობით რესპუბლიკის საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის საწარმოების მუშამოსამსახურეთა ჯანმრთელობის განმტკიცებისთვის ტარდება.

მთელ რიგ საწარმოთა დირექციების, პროფკავშირული ორგანიზაციების ზრუნვის შედეგად მშრომელთა შორის გამაჯანსაღებელი ღონისძიებები სათანადო დონეზე დგას. საინტერესოდ ტარდება სპარტაკიადები და შეჯიბრებები მშდ კომპლექსის მრავალჭიდში, მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა ფიზკულტურულ ორგანიზაციებში მუშაობის სათანადოდ წარმართვით რესპუბლიკურმა კომიტეტმა ზედიზედ მეორედ მოიპოვა საქართველოს პროფსაბჭოს დროშა მშდ კომპლექსის დანერგვაში საუკეთესო მაჩვენებლებისთვის.

მსუბუქი მრეწველობის კოლექტივებში განსაკუთრებით პოპულარულია მშრომელთა გაჯანსაღების ისეთი ფორმები, როგორიცაა ტურიზმი და საწარმოო ტანვარჯიში. ხშირად ეწყობა ტურისტული შეკრებები ბაზალეთში, კიკეთში, შაორში, ლისის ტბაზე, გელათში, ოთარაანთ კარში... იქვე რეგულარულად აბარებენ მშდ კომპლექსის ნორმატივებსაც.

შრომით კოლექტივებში საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვამ, სხვა გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა გამოყენებამ საგრძნობლად აამაღლა შრომისნაყოფიერება, შეამცირა ავადმყოფობის გამო სამუშაოს გაცდენის შემთხვევები.

მაგრამ რესპუბლიკის საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის საწარმოების მშრომელთა შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების დანერგვის საქმეში ჯერ კიდევ ბევრია ნაკლოვანებებიც. არის შემთხვევები, როცა ფიზკულტურული მუშაკები საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვაზე ყალბ ცნობებს იძლევიან. სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატიდან გამოგზავნილ სტატისტიკურ ანგარიშში ნაჩვენებია, რომ ტანვარჯიშში ამ საწარმოს 806 მუშა-მოსამსახურეა ჩაბმული, სინამდვილეში მოვარჯიშეთა რიცხვი 200-მდე თუ აღწევს; ცხაკაიას ხალიჩების საქსოვი კომბინატიდან წარმოდგენილი ანგარიშით საწარმოო ტანვარჯიშში 700 მშრომელი ვარჯიშობს, ფაქტიურად იქ საწარმოო ტანვარჯიში საერთოდ არ არის დანერგილი (?!).

ამ საწარმოებში და წყნეთის სამკერვალო ფაბრიკაში მივიწყებულია მშდ კომპლექსიც და ეს იმიტომ, რომ მშდ კომისიები, რომელთა თავმჯდომარეებად, როოგრც წესი, მთავარი ინჟინრები არიან, ამ საქმის მოსაგვარებლად არაფერს აკეთებენ.

რიგ ორგანიზაციებში გამაჯანსაღებელი ღონისძიებების დაბალი დონის გამო დიდია შრომისუუნარობის ფურცლების მიხედვით გაცემული სახსრები, 1976 წელს რამდენიმე ათასი კაცდღე გაცდა, რისთვისაც მილიონობით მანეთი გაიცა.

პლენუმმა ყურადღება გაამახვილა სპორტული ბაზების მშენებლობის საკითხებზე. ითქვა, რომ მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის სისტემის საწარმოებში ოცი წლის მანძილზე არც ერთი ხეირიანი სპორტული ნაგებობა არ აშენებულა (?!). რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების შემდეგ კი ამ მიმართებით ერთგვარი წინსვლა იგრძნობა: ცხაკაიას ხალიჩების კომბინატის დირექტორის ანზორ ბალათურიას ინიციატივითა და ხელმძღვანელობით აქ უკვე მოუწყვიათ ფრენბურთის, კალათბურთის, ხელბურთისა და მინი-ფეხბურთის მოედნები, საშხაპეები და გასახდელები, ზუგდიდის ფაიფურის ქარხანაში — მარტივი ტიპის მოედნები.

სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით გორის, ბამბეულის ქსოვილების, თბილისის მაუდკამვოლის კომბინატების, 1-ლი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკისა და სხვათა შესახებ. ბაზებისადმი უყურადღებობის ბრალია, რომ სისტემის 56 საწარმოს მხოლოდ ორი აუზი აქვს (ქუთაისის აბრეშუმისა და თბილისის ტრიკოტაჟის თეთრეულის საწარმოო გაერთიანებებს) და ისინიც რადგან არ ათბობენ, გამოუყენებელია.

პლენუმზე აღინიშნა, რომ ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებას გადაეცა ქალაქის სტენდი მუხნარში, აქვე დირექციას მეაბრეშუმეებისთვის ჯანმრთელობის ზონის მოწყობა აქვს განზრახული, სახსრები არის, პროექტიც აქვთ, მაგრამ ვერ ნახეს ორგანიზაცია, რომელიც ბაზებს ააგებდა.

პლენუმი ვერ დააკმაყოფილა დ. უბილავას გამოსვლამ. მან სოხუმის ტყავფეხსაცმლის კომბინატში მასობრივფიზკულტურული მუშაობის დაბალი დონე მხოლოდ ბაზების უქონლობას დააბრალა, თუმცა ბაზების მოწყობისთვისაც არ იწუხებენ თავს.

მომხსენებელი, აგრეთვე, თბილისის წინდების საწარმოო გაერთიანების დირექტორის მოადგილე თ. ჰინჭარაშვილი და სხვები იმასაც ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ სავაჭრო ორგანიზაციები კოლექტივებს სპორტინვენტარით ცუდად ამარაგებენ, არ ხერხდება ინვენტარის გადარიცხვით შეძენა.

პლენუმზე სიტყვით გამოვიდა „განთიადის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ა. გიორგობიანი.

## სპორტული ბაზების მშენებლობა — № 1 პრობლემა

### მეტი ყურადღება სჭირდებათ

**პლეხანოვის** პროსპექტი 117... ბევრი თქვენგანისთვის ალბათ ნაცნობია ეს მისამართი. აქ ხომ „განთიადის" ცენტრალური საბჭოს ჩოგბურთის კორტები მდებარეობს. შესაძლოა, მოგაგონდეთ ამ კორტებზე ნათამაშები პარტიები, მოგებული გეიმები, ან დამარცხების სიმწარე. მრავალი ნიჭიერი სპორტსმენი აღზრდილა აქ. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ ირინე ერმოლოვა, ედუარდ ნეგრიბეცკი, იან გომერი და სხვები. „განთიადის" კორტებიდან დაიწყო თავისი სპორტული დიდების გზა ქვეყნის ერთ-ერთმა უძლიერესმა ჩოგბურთელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა თეიმურაზ კაკულიამ.

ახლა ჩოგბურთის 3 კორტზე ყოველდღიურად „განთიადის" 60 და უმაღლესი სპორტული ოსტატობის 20 წევრი იმაღლებს ოსტატობას. ამ დღეებში კორტებზე შევხვდით განთიადელ ჩოგბურთელს გია ზამბახიძეს. იგი ათი წელია ვარჯიშობს. მრავალ შეჯიბრებაში უასპარეზია და წარმატებითაც, მასთან ერთად ვარჯიშობენ კ. პეტროსიანი, ა. პოლოსოვი, ა. ჯაფარიძე და სხვ. გიამ შემოგვჩივლა, უკეთეს-შედეგებსაც მივაღწევდით, ვარჯიშისთვის ნორმალური პირობები რომ გვქონდესო. არ გვაქვს საკმარისი რაოდენობით ჩოგნები, სპორტული ფორმა, ბურთები.

ახალგაზრდა ჩოგბურთელს არაფერი უთქვამს ჩოგბურთის კორტის კეთილმოწყობაზე. არა და იგი მართლაც კეთილმოუწყობელია. შეგახსენებთ, რომ მშენებლებმა ამ რამდენიმე ხნის წინათ დაამთავრეს მისი რემონტი. საქმე ის გახლავთ, რომ რესპუბლიკის ფიზკულტურის კომიტეტთან არსებული სამშენებლო სამმართველოს მუშაკებმა ჩოგბურთის სავარჯიშო კედელი ვითომ გაარემონტეს და შეღებეს. სინამდვილეში კი მასზე ადვილად შეამჩნევთ ოღრო-ჩოღრო ადგილებს: შესრულებული სამუშაოების ხარისხით უკმაყოფილოა რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი გიორგი ღარიბაშვილი. აი, რა გვითხრა მან:

— ჩვენ ხშირად გვიხდება სხვადასხვა შეჯიბრებაში გამოსვლა, მაგალითად, ამ ცოტა ხნის წინ დონეცკში საკავშირო პირველობაზე ვიასპარეზეთ, სადაც სპორტსმენთა განკარგულებაშია 10 კეთილმოწყობილი მოედანი თავისი გასახდელებით, აბაზანით, მწვრთნელთა და სამედიცინო ოთახებით. ჩვენ არ მოვითხოვთ ამგვარ კომფორტს, მაგრამ ის კი გვსურს, რომ გვქონდეს მარტივი, კეთილმოწყობილი ჩოგბურთის კორტი. 3 მოედანი ვარჯიშისთვის არ გვყოფნის.

ამ მოედანზე არაერთხელ ჩატარდა რემონტი, მაგრამ ყოველთვის უხარისხოდ. როგორც უკვე ითქვა, შარშან რესპუბლიკის ფიზკულტურის კომიტეტთან არსებულმა საამშენებლო კანტორამ ჩოგბურთის კორტებზე სავარჯიშო კედლები მხოლოდ შეაკეთა და შეღება, გავიდა ხანი და ისინი უკვე ინგრევა. რემონტზე კი ათას მანეთზე მეტი დაიხარჯა. გეგმის მიხედვით მშენებლებს მრავალი სამუშაო უნდა შეესრულებინათ. კერძოდ, მოეწყოთ სათამაშო მოედნები, ჩოგბურთის მოედანზე შესასვლელი კარი, მაყურებლისთვის სკამები, მწვრთნელთა ოთახი, მოეწესრიგებინათ გასახდელი და სანტექნიკის წერტები.

მიუხედავად ამგვარი სიძნელეებისა, „განთიადის" ჩოგბურთელები საკავშირო პირველობებში გარკვეულ წარმატებებს აღწევენ. შარშან ისინი მრავალ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ, მაგრამ ჩვენ ერთ მათგანს გამოვყოფდით. ესაა დნეპროძერჟინსკში ჩატარებული მოზრდილთა (1962-1963 წლებში დაბადებულნი) საკავშირო პირად-გუნდური პირველობა. ამ ასპარეზობაში საქართველოს წარმომადგენელმა ინგა ანტონიანმა ჩემპიონის სახელი მოიპოვა, ვიქტორ ხურდა კი მესამე იყო. გუნდიც III ადგილზე გავიდა.

კორტების ბაზის დირექტორის მოადგილემ ალბერტ ხალათოვმა სხვა საზრუნავიც გაგვიზიარა.

— ჩოგბურთის კორტებზე სავარჯიშოდ ყოველდღე მოდიან როგორც „განთიადის" საბჭოს ჩოგბურთელები, ისე სხვადასხვა პროფესიის ადამიანები. სამი მოედანი არ გვყოფნის ყველა მსურველის დასაკმაყოფილებლად. რამდენიმე წლის წინათ გვქონდა კიდევ სამი კორტი, მაშინ ჩოგბურთის მოყვარულებსაც ვიტევდით. ახლა კი ისინი გადასცეს ქალაქის ფიზკულტურის კომიტეტს და იქ ფრენბურთელები ვარჯიშობენ. არაერთხელ დაისვა საკითხი ამ მოედნების დაბრუნების შესახებ, მაგრამ საქმეს არაფერი ეშველა.

ვფიქრობთ, შესაბამისი ორგანიზაციები ახლა მაინც მიაქცევენ ამ საქმეს სათანადო ყურადღებას.

**ჯ. მარიამიძვილი.**

### ახალი კომპლექსი, ახალი სტიმული

**ახალმა** სპორტულმა კომპლექსმა დიდად გაახარა თბილისის მე-15 საშუალო სკოლის მოსწავლეები და პედაგოგიური კოლექტივი. იგი სასწავლებლის ფიზკულტურელებს აუშენა და საჩუქრად გადასცა საწზონაში მდებარე მე-4 სახლმმართველობამ. ენთუზიასტებს მხარში ედგნენ მოსწავლეები და ფიზაღზრდის მასწავლებლები.

ახალი კომპლექსი კარგად დახაზული და გაფორმებული მინი-ფეხბურთის, ხელბურთის, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნებისაგან შედგება.

...სკოლაში დამკვიდრებულია დევიზი: „მეათე ხუთწლედს ჩვენი სანიმუშო დისციპლინა და მაღალი აკადემიური მოსწრება". აქ დიდ ყურადღებას უთმობენ სპორტს. სასწავლებელს დაარსების დღიდან სათავეში უდგას ენერგიული და მცოდნე პედაგოგი ა. მათითაშვილი, ხოლო ფიზკულტურულ-სპორტულ საქმიანობას ფიზაღზრდის უფროსი მასწავლებელი ქ. უგრეხელიძე ხელმძღვანელობს. სულ ახალგაზრდა იყო იგი, ამ სკოლაში რომ მოვიდა, აქ გაჭაღარავდა. პედაგოგის ამაგის დასახასიათებლად სასწავლებელში „ფეხადგმული", უკვე საკმაოდ ცნობილი სპორტსმენების ჩამოთვლაც კმარა — ზურაბ აზმაიფარაშვილი, დები ქეთევან და ნინო მელაშვილები.

სასწავლებელში ნაყოფიერად მუშაობს ფრენბურთის სექციაც, რომელსაც სკოლის აღზრდილი, ცნობილი ფრენბურთელი, საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრი ვ. რიაბოვი უდგას სათავეში...

...ეჭვი არ გვეპარება, რომ ახალი სპორტული კომპლექსის აგება მრავალ ნიჭიერ სპორტსმენს გამოავლენს, კიდევ ბევრ ნორჩს შეაყვარებს ფიზკულტურასა და სპორტს.

**ზ. ნავდარაშვილი.**

## აღმზრდელი

**ფოთში** ყველა იცნობს ირაკლი ლოლუას. ნორჩ მოჭადრაკეთა აღმზრდელმა თავისი ერუდიციითა და კეთილსინდისიერი შრომით გაითქვა აქ სახელი.

იგი წლების მანძილზე ბავშვებთან მუშაობს — ჭადრაკის საიდუმლოებას უზიარებს მათ ფოთის სპორტსკოლაში. აღმზრდელი არ კმაყოფილდება თეორიის ელემენტების სწავლებით, უხსნის ნორჩებს საჭადრაკო კომპოზიციას, აცნობს ჭადრაკის ისტორიას. მწვრთნელს მდიდარი საჭადრაკო ბიბლიოთეკა აქვს, რომლითაც ფართოდ სარგებლობენ მოსწავლეები. ირაკლი მასწავლებლის ორ ჯგუფში ამჟამად 25 გოგონა და ბიჭია გაერთიანებული.

გულმოდგინე მეცადინეობას შედეგიც კარგი მოაქვს. ამას წინათ, მოსწავლეთა რესპუბლიკური პირველობის ზონალურ ტურნირში, მისმა აღსაზრდელებმა I ადგილი დაიკავეს. ამგვარი მწვრთნელი არაერთ უსახელებიათ მოჭადრაკეებს მ. ბურდულს, თ. და პ. გუგუშვილებს და სხვებს.

ირაკლი ლოლუა ფოთის ორჯონიკიძის სახელობის გემსარემონტო ქარხანაში მუშაობს ინჟინერ-კონსტრუქტორად, მაგრამ ჭადრაკი მუდამ იტაცებდა. მას პირველ ქართველ ოსტატებთან — ვ. გოგლიძესა და ა. ებრალიძესთან ერთად ბევრჯერ მიუღია მონაწილეობა საქართველოს პირველობის ფინალში. 1947-48 წლებში იგი გახლდათ საქართველოში საჭადრაკო კომპოზიციის კონკურსების გამართვის ერთ-ერთი თაოსანი. სტუდენტობის წლებში ი. ლოლუა მწვრთნელად მუშაობდა გამოჩენილ პედაგოგ ვ. ქარსელაძესთან ერთად ბ. ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ჭადრაკის კაბინეტში. დამოუკიდებლად მოღვაწეობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში...

დიდია ფოთელი ნორჩების ლტოლვა ჭადრაკისადმი, მაგრამ სპორტსკოლის ვიწრო ოთახი მსურველთა მხოლოდ მცირე ნაწილს თუ იტევს. ვიწროდ არიან, მოძველებულია ინვენტარიც, სკოლის ხელმძღვანელობას აქამდე ვერ შეუძენია სადემონსტრაციო დაფა. აქაური ჭადრაკის მოყვარულები ოცნებობენ ფოთის მკვიდრის, ოსტატ ა. ებრალიძის მემორიალის ჩატარებას, რაც, უდავოა, კიდევ უფრო პოპულარულს გახდის უძველეს ბრძნულ თამაშს შავიზღვისპირა ამ შესანიშნავ ქალაქში.

**თ. ჭიჭავა.**

ფოთი.

* * *

**სურათზე:** ირაკლი ლოლუა თავის აღსაზრდელებთან მეცადინეობის დროს.



### [illegible]

**✦ კასპი**

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და წარმოებადაწესებულებათა 19 ფიზკულტურული კოლექტივი მონაწილეობდა რაიონულ სპარტაკიადაში, რომლის პროგრამაშიც იყო: მცირე კალიბრიანი შაშხანით ტყვიის სროლა, ჭიდაობა „სამბო", კალათბურთი, ფრენბურთი, მძლეოსნობა, მაგიდის ჩოგბურთი, რუსული შაში, ჭადრაკი და სიმძიმეების აწევა.

სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა ქარხანა „კასპიელექტროაპარატის" ფიზკულტურული კოლექტივი, II ადგილი დაიკავეს თეძმის საბჭოთა მეურნეობის სპორტსმენებმა, მესამე ადგილი ხვდა კასპის ინდუსტრიული ტექნიკუმის ფიზკულტურულ კოლექტივს.

**ლ. ელისაბედაშვილი.**




**გამომცემლობა** „პლაკატმა“ ნახევარ მილიონამდე საერთო ტირაჟით გამოსცა მოსკოვის ოლიმპიადისადმი მიძღვნილი 30-ზე მეტი პლაკატი. ცნობილი საბჭოთა ოსტატების — ვ. კორეცკის, ე. არწრუნიანის, ო. სავოსტიუკის, აგრეთვე, ახალგაზრდა მხატვართა ნამუშევრებში ასახულია XXII ოლიმპიური თამაშებისთვის (რომელიც საბჭოთა კავშირში მიაჩნიათ ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების ერთ-ერთ საშუალებად) მზადება, მოსკოვის ახალი სპორტული ნაგებობები. პლაკატების სერიები დიდ პროპაგანდას უწევენ სპორტს და მოწმობენ თუ როგორი ყურადღება ექცევა ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურის განვითარებისა და მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს.

# მთავარი მიზანი: მოსკოვის ოლიმპიადა

**წლეულს** კუბის საუკეთესო მოკრივეებს შეჯიბრების გადატვირთული პროგრამა მოელით: აშშ-ის სპორტსმენებთან მატჩები, საერთაშორისო ტურნირები, მათ შორის საბჭოთა კავშირშიც, ცენტრალური ამერიკის თამაშები, და, რაც მთავარია, ბელგრადში მეორე მსოფლიო ჩემპიონატი. ამიტომ ამ დღეებში აქ გამართულ, რიგით მე-17 ქვეყნის პირველობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უძლიერესთა შესარჩევად. ახალ ჩემპიონთა რიგებში არიან: ოლიმპიური ჩემპიონი ა. ერერა (57 კგ-მდე) და ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი ა. ალდამა (63,5 კგ-მდე).

ბრწყინვალე ფიზიკური მომზადება გამოავლინა ორგზის ოლიმპიურმა და მსოფლიოს ჩემპიონმა, მძიმეწონოსანმა თეოფილო სტივენსონმა. ოთხივე ორთაბრძოლა შეწყვეტილ იქნა მისი აშკარა უპირატესობის გამო.

საკდესის კორესპონდენტმა სთხოვა თავის გეგმებზე მოეთხრო პოპულარულ კუბელ სპორტსმენს, რომელიც თავისუფლების კუნძულზე აქტიურ პროპაგანდას უწევს კრივსა და საერთოდ სპორტს, როგორც დეპუტატი მონაწილეობს სახალხო ხელისუფლების ეროვნული ასამბლეის მუშაობაში.

— ჩემს ცხოვრებაში მონრეალის თამაშების შემდეგ მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა, — თქვა სტივენსონმა. — ყოველი სპორტსმენისთვის აუცილებელ რეგულარულ ვარჯიშთან ერთად, ვსწავლობ ჰავანის ფიზკულტურის ინსტიტუტთან არსებულ მწვრთნელთა სპორტულ სკოლაში. უცვლელია პირადი ცხოვრებაც: ჯერ ისევ უცოლო ვარ.

უეჭველად ვაპირებ გამოსვლას მოსკოვის ოლიმპიადაზე. ასეთ დიდ სპორტულ ფორუმში (სადაც უძლიერესები ხვდებიან ერთმანეთს) ასპარეზობაზე ყოველი სპორტსმენი ოცნებობს. მინდა აღვნიშნო ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელიც მოსკოვის ოლიმპიადაში მონაწილეობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ოლიმპიური თამაშები ხომ პირველად ტარდება კუბის ყველაზე დიდ მეგობარ მსოფლიოში პირველ სოციალისტურ სახელმწიფოში. მსოფლიო სპორტული ფორუმის გამართვა მოსკოვში სოციალისტური წყობის კიდევ ერთი გამარჯვებაა, მთელი მსოფლიოს მიერ სოციალისტურ ქვეყნებში სპორტის განვითარებისა და უდიდესი პრესტიჟის აღიარებაა. მოსკოვში წარმატებით გამოსვლა ჩვენი მთავარი მიზანია და მისი განხორციელებისთვის ძალ-ღონეს არ დავზოგავ.

ოლიმპიადისთვის მისი მზადების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია წლეულს იანვარში ქვეყნის ჩემპიონატში და „ხირალდო კორდოვა კარდინის“ ყოველწლიურ საერთაშორისო ტურნირში ასპარეზობა. ეს უკანასკნელი თებერვალში კუბის ქალაქ სიენფუეგოსში ჩატარდება.

— მეტოქეებს მე არ ვყოფ მთავარ და მეორეხარისხოვნად. ჩემი ღრმა რწმენით, ნებისმიერს შეუძლია გამარჯვება, — თქვა სტივენსონმა.

საბჭოთა მოკრივეებზე საუბრისას მან უპირველესად აღნიშნა მათი მაღალი ოსტატობა და ბრწყინვალე ფიზიკური მომზადება, „ეს იმით აიხსნება, თქვა სტივენსონმა, — რომ საბჭოთა კავშირში მაღალ დონეზე დგას ფიზკულტურისა და სპორტის განვითარება, რაც ქვეყნის ნაკრებისთვის სპორტსმენთა შერჩევის კარგ ბაზას ქმნის.

— ყური მოვკარი, რომ „ნედელიას“ პრიზზე სსრ კავშირის პირველობა ღია წესით ჩატარდება. ძალიან მინდა მივიღო ამ ტურნირში მონაწილეობა. ასეთი ტურნირების დონე ბევრადაა დამოკიდებული მონაწილეებზე. რაც უფრო ძლიერები არიან მოკრივეები, მით საინტერესოა შეჯიბრება და უფრო საპატიო — გამარჯვება...

(საკდესი).

# მოსწავლეთა არდადეგების დღეებში

**გაიმართა** საქართველოს 1978 წლის მოსწავლეთა სპარტაკიადის თელავის ზონალური ტურნირი ჭადრაკში. მონაწილეობდნენ თელავის, ყვარლის, ახმეტის, ბოგდანოვკის, სიღნაღის, საგარეჯოსა და ლაგოდეხის რაიონების ნაკრები გუნდები (თითო გოგონა და სამ-სამი ჭაბუკი).

დებულების მიხედვით მხოლოდ გამარჯვებულს შეეძლო შემდგომ ეტაპზე გასვლა. ბოლო ტურის წინ ამის შესაძლებლობა ჰქონდათ თელაველ და ყვარლელ მოსწავლეებს. ამიტომ მათი შეხვედრა მეტად დაძაბულად წარიმართა. დიდი ინტერესი გამოიწვია გუნდების ლიდერების — შ. გურასპიშვილისა (თელავი) და ზ. კავთელაძის პარტიამ. ექვსსაათიანი ორთაბრძოლა (დებულებით, ბოლო ტურის პარტია არ გადაიდება) მასპინძლის გამარჯვებით დასრულდა. ამრიგად, თელაველმა მოჭადრაკეებმა მოიპოვეს ნახევარფინალში თამაშის უფლება. II ადგილზე ყვარლელები გავიდნენ, III ადგილი ახმეტელებს ხვდათ.

**გ. ელიოზიშვილი,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი

●

**ჩატარდა** დუშეთის რაიონის მოსწავლეთა სარაიონო პირველობა კალათბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში.

ჭაბუკ კალათბურთელთა შეჯიბრებაში მონაწილეებმა [illegible] რაიონის 8 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა. [illegible] დუშეთის II და III სკოლების კალათბურთელებმა, რომლებიც ფინალში გავიდნენ. აქ კი III საშუალო სკოლის მოსწავლეებმა იმარჯვეს და პირველი ადგილიც დაიკავეს.

მაგიდის ჩოგბურთელ ჭაბუკთა შორის დუშეთის II საშუალო სკოლის მოსწავლეებმა ფინალში დაამარცხეს ქინვალის საშუალო სკოლის სპორტსმენები. გოგონათა შორის უძლიერესი აღმოჩნდა დუშეთის I საშუალო სკოლის კოლექტივი.

**ზ. ხიანაიძე.**

## ჩემპიონები გამოვლინდებიან იაპონიაში

იუნიორ ფეხბურთელთა მეორე მსოფლიო ჩემპიონატი 1979 წლის 25 აგვისტოს დაიწყება იაპონიაში და დამთავრდება 7 სექტემბერს — ასე გადაწყვიტა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომმა.

იაპონიის ფეხბურთის ფედერაციის ცნობით 99 ქვეყანამ უკვე განაცხადა სურვილი მონაწილეობა მიიღოს ჩემპიონატის წინასწარ მატჩებში, ხოლო ფინალში ითამაშებს 16 გუნდი. მატჩის მასპინძლები, იაპონელები, შესარჩევ შეჯიბრებებს არ გაივლიან.

შევახსენებთ, რომ მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი იუნიორ ფეხბურთელთა შორის შარშან ტუნისში მოიგო სსრ კავშირის ნაკრებმა.

## „ბალახზე“ სახურავს ქვეშ

**მოსკოვი.** ფეხბურთელთა ზამთრის საკავშირო ტურნირის მეორე დღეს „ნედელიას“ პრიზზე ოდესის „ჩერნომორეცმა“ ანგარიშით 2:0 მოუგო ალმა-ათის „ქაირატს“. ანგარიში გახსნა ლეშჩუკმა, ხოლო პენალტი ზუსტად გამოიყენა ნეჩაევმა.

საინტერესო იყო მოსკოვის გუნდების „ლოკომოტივისა“ და „სპარტაკის“ შეხვედრა. „სპარტაკის“ კარში 2 უპასუხო ბურთი გაიტანეს კამზულინმა და გაზაევმა. გამარჯვებულთაგან კარგი შთაბეჭდილება დატოვა მეკარე იანოვსკიმ, რომელიც „ლოკომოტივში“ გადმოვიდა როსტოვის ასკ-დან, კერძოდ, მან აიღო ბულგაკოვის მიერ დარტყმული პენალტი.

**ლენინგრადი.** ვოროშილოვგრადის „ზარიამ“ კარგად ჩაატარა შეხვედრა დნეპროპეტროვსკის „დნეპრთან“ და გაიმარჯვა ანგარიშით 2:0. ბურთები გაიტანეს სოროკალეტმა და მარჩენკომ.

## ნორჩთა ტურნირებზე

### სოხუმი

აქ მიმდინარეობდა ტრადიციული საკავშირო ტურნირი სპორტის დამსახურებულ ოსტატ ვ. მარღანიას სახელობის თასზე.

კონკურენციის გარეშე აღმოჩნდნენ სსრ კავშირის ნაკრების ფეხბურთელები, რომლებმაც შეძლეს პირველი ადგილის დაკავება. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ მოსკოვის „დინამოს“ და ერევნის სპორტსკოლის გუნდები.

## ფეხბურთი

### გაგრა

დაძაბულ ბრძოლაში ჩატარდა სპორტის დამსახურებულ ოსტატ შ. იამანიძის სახელობის თასის გათამაშება ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდებს შორის. ასპარეზობამ წარმატება მოუტანა მოსკოვის წარმომადგენლებს, მეორე ადგილზე გავიდნენ გაგრელი ფეხბურთელები. შემდგომ არიან თბილისის განათლების განყოფილებისა და ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის კოლექტივები.

## ძიუდოობა

**დამთავრდა** ბათუმის ბავშვთა და მოზარდთა ძიუდოობის სკოლის ღია საკლასიფიკაციო პირადი პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. საჭიდაო ხალიჩაზე გამოვიდნენ „დინამოს“, „სპარტაკის“, „განთიადის“, „ბურევესტნიკის“, „შრომითი რეზერვების“, № 1 სპორტსკოლის, ხელვაჩაურის, ქობულეთისა და სოფელ კვირიკეს (ქობულეთის რაიონი) სპორტსმენები.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონობა მოიპოვეს: ლ. ბაუჟაძემ (კვირიკე), ტ. მეგრელიძემ (სპორტული სკოლა), ჯ. ჭყონიამ (კვირიკე), ბ. კაკალაძემ (ქობულეთი), ბ. კალანდაძემ („დინამო“), მ. მიქელაძემ (№ 1 სპორტსკოლა), ე. შაქარიშვილმა (კვირიკე), ზ. ანდღულაძემ (სპორტული სკოლა), მ. დიასამიძემ, დ. ასამბაძემ (ორივე ხელვაჩაური) და ლ. გუჯაბიძემ (სპორტული სკოლა).

**ო. მურვანიძე.**
(ჩვენი კორ.).

## წერილი რედაქციას

●

## საათები კვლავ უნდა ჩაირთოს

**ზესტაფონში** მუდამ იგრძნობოდა საჭადრაკო ცხოვრების მაჯისცემა. ბრძენთა თამაშს არასოდეს დაკლებია თაყვანისმცემელი. სისტემატურად იმართებოდა რაიონის პირველობა, ამხანაგური მატჩები, მაგალითად, ყვარლის მოჭადრაკეებთან. ამჟამად ზესტაფონში ეს პოპულარული თამაში დავიწყებას მიეცა.

ჭადრაკს უგულებელყოფს, პირველ ყოვლისა, რაიონის სპორტკომიტეტი (თავმჯდომარე კ. ბაზაძე). ფაქტები? ინებეთ. 1970 წლიდან არ ჩატარებულა ზესტაფონის რაიონის პირველობა, ორიოდე წლის წინათ გაუქმდა მოჭადრაკეთა ოთახი, რომელიც ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკში იყო გახსნილი. ჭადრაკს არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ზესტაფონის პიონერთა სახლში და ბავშვთა სპორტულ სკოლაში.

მოჭადრაკეებს არც რაიონის საჭადრაკო ფედერაცია გამოესარჩლა, რაც შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ მისი თავმჯდომარე ჯ. მახათაძე საჭადრაკო კომპოზიტორია და შეჯიბრებები, პრაქტიკული თამაში ნაკლებად აინტერესებს.

ზესტაფონი ჩვენი რესპუბლიკის მეორე მეტალურგიული ქალაქია. ფეროშენადნობის ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს, მათს ოჯახებს, რაიონის ახალგაზრდობას აინტერესებთ ჭადრაკი, ზესტაფონელები არ მოითხოვენ საჭადრაკო კლუბის აგებას (თუმცა იგი აქვს, მაგალითად, სამტრედიას, რომელთანაც ჩვენი რაიონი სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული), მაგრამ ნუთუ ერთი ოთახის ღირსიც არ არიან ჭადრაკის ზესტაფონელი მოყვარულები?

**გ. ფორჩხიძე.**
პირველთანრიგოსანი მოჭადრაკე.

## ჭადრაკი

## კრივი

**ამერიკისა** და რუმინეთის მოკრივეთა მესამე საერთაშორისო ამხანაგური მატჩი, რომელიც სენტლუისში გაიმართა, ისე როგორც პირველი შეხვედრა, მასპინძლებმა მოიგეს — 6:4.

ახლა ამერიკელი სპორტსმენები ევროპაში გაემგზავრებიან და რამდენიმე მატჩს გამართავენ, მათ შორის საბჭოთა მოკრივეებთანაც. ამერიკის და საბჭოთა გუნდების პირველი შეხვედრა 29 იანვარს მოსკოვში ჩატარდება.

## მძლეოსნობა

**ვიტყობინებოდით,** რომ ვაშინგტონში, კოლეჯ-პარკის დარბაზში კანადელმა გ. ჯომ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე 231 სმ სიმაღლე დაძლია და დარბაზებისთვის ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

ამავე ტურნირში ჯ. ჰანტლმა 193 სმ-ის გადალახვით ამერიკელ ქალთა მიღწევა გააუმჯობესა, ხოლო ბიორკლიმ ერთ მილზე რბენაში აჩვენა (3.54,8). ეს შედეგი 0,2 წამით აღემატება ასევე ამერიკელი უოლდროპის ადრინდელ მსოფლიო მიღწევას.

**გუშინწინ** ლენინგრადში დაიწყო უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრე. მორიგი გამარჯვება იზეიმა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მრავალგზის მფლობელმა და სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონმა რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს გუნდმა ამჯერად მან დაამარცხა მოსკოვის „სპარტაკი“ 61:50. სხვა თამაშები ასე დამთავრდა: „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (ნოვოსიბირსკი) 84:75, „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი) — „სპარტაკი“ (პენზა) 93:72, „კიბირკშტისი“ (ვილნიუსი) — „სტალი“ (დნეპროპეტროვსკი) 76:58, „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — „უნივერსიტეტი“ (ალმა-ათა) 87:67.

## კალათბურთი

**იგლსის** საციგაოზე, სადაც უკანასკნელი ზამთრის ოლიმპიადის მონაწილეთა ასპარეზობანი გაიმართა, ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი ორადგილიანი ბობსლეებით. ოქროს მედლები წილად ხვდათ ოლიმპიადა 76-ის მონაწილეებს — შ. და ჰ. ზაიფერტებს, ვერცხლის მედლები მიიღეს გასული ოლიმპიადის ჩემპიონმა ბ. გერმესჰაუზენმა და მისმა ახალმა მეწყვილემ ჰ.-ი. გერჰადმა. ბრინჯაოსი — ბ. ლემანმა და მ. ტრიუბნერმა. (ყველა — გდრ).

## ციგურები

## „სპორტლოტო“

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „შაბათის სპორტლოტოს“ მორიგი, მეორე ტირაჟებისა, რომელიც მოსკოვში 14 იანვარს მოეწყო.

**პირველი:** ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 5000 მანეთია, ოთხისთვის — 116, სამისთვის — 5.

**მეორე:** ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 5000 მანეთია, ოთხისთვის — 216, სამისთვის — 7.

მოგებული თანხა გაიცემა 25 იანვრიდან 25 თებერვლის ჩათვლით.

**გუშინ** მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოსა“ და „სპორტლოტო-2“-ის მორიგი, მესამე ტირაჟი.

**„სპორტლოტო“:** 2, 5, 11, 12, 18, 38. შეღავათიანი ბურთულა 23.

**„სპორტლოტო-2“:** 2, 18, 27, 31, 38, 42. შეღავათიანი ბურთულა 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მსოფლიო ჩემპიონის მატიანე

# მატჩი ჰუნსბერგთან

ჭადრაკის სამყარო დიდად განაცვიფრა იმ ამბავმა, რომ 1890 წელს ინგლისელმა მოჭადრაკე ი. ჰუნსბერგმა მატჩში გამოიწვია ვ. სტეინიცი; იმ დროს მსოფლიოში ჰუნსბერგის ძალის ათიოდე მოჭადრაკე მოიძებნებოდა, მაგრამ საზოგადოება კიდევ უფრო გაოცდა, როცა მსოფლიო ჩემპიონმა გამოწვევა მიიღო. მოჭადრაკეებს, მიმომხილველებს ვერ აეხსნათ, ჰუნსბერგთან მატჩი რით უნდა ყოფილიყო სტეინიცისთვის საინტერესო.

ჰუნსბერგში არაფერი იყო გამომწვევი. იგი ჩვეულებრივად, თუმცა ძლიერად თამაშობდა. ი. ცუკერტორტს სტეინიცი ვერ იტანდა როგორც პიროვნებას და ებრძოდა მას. მ. ჩიგორინში იგი იდეურ მოწინააღმდეგეს ხედავდა და მასთან პაექრობაში თავგამოდებით ცდილობდა პრაქტიკულად დაედასტურებინა თავისი მოძღვრების ავ-კარგი. მაგრამ ჰუნსბერგი არ იყო ამ ყაიდის მეტოქე. პირიქით, ინგლისელი მოჭადრაკე სტეინიცის „ახალი მეთოდის“ ერთ-ერთი მიმდევარი გახლდათ. იქნებ ამან მოხიბლა მსოფლიო ჩემპიონი. ერთი სიტყვით, უცნობი დარჩა, თუ რამ უბიძგა სტეინიცს მიეღო გამოწვევა.

თანამედროვეთა აზრით, ეს მატჩი ხელს აძლევდა მხოლოდ ჰუნსბერგს, რომელიც, როგორც საჭადრაკო ჟურნალისტი, თავისი ფინანსური მდგომარეობის გამოსწორებას ფიქრობდა.

საზოგადოებას არ სჯეროდა ჰუნსბერგის წარმატებისა. ამიტომ საპრიზო ფონდის (375 დოლარი) შესაქმნელად მას საკუთარი ფულის დამატება დასჭირდა. ისეთი ხელმოკლე კაცისათვის, როგორიც პრეტენდენტი იყო, ეს ცოტას როდი ნიშნავდა.

მატჩის მოწყობა მანჰეტენის (ნიუ იორკის შტატი) საჭადრაკო კლუბმა ითავა. შეხვედრა მიმდინარეობდა 1890 წლის 9 დეკემბრიდან 1891 წლის 22 იანვრამდე. მეტოქეებს უნდა ეთამაშათ 20 პარტია. მოგებისთვის საკმარისი იყო 10,5 ან 11 ქულა. ყაიმის (10:10) შემთხვევაში სტეინიცი ჩემპიონად რჩებოდა.

ისიდორე ჰუნსბერგი (2.IX.1854 — 2.V.1930) დაიბადა ბუდაპეშტში, მაგრამ 9 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ინგლისში ცხოვრობდა. მან ძლიერი მოჭადრაკის სახელი მოიხვეჭა 80-იან წლებში, როცა რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში პირველი პრიზი დაისაკუთრა და მატჩებში სძლია ცნობილ ინგლისელ მოჭადრაკეებს ბერდსა და ბლეკბერნს. ნიუ იორკის 1889 წლის დიდ საერთაშორისო ტურნირში ჰუნსბერგმა III ადგილი დაიკავა მ. ჩიგორინისა და ავსტრიელი მ. ვეისის შემდეგ. 1890 წლის იანვარ-თებერვალში, ჰავანაში მან ყაიმით (+9—9=5) დაამთავრა ამხანაგური მატჩი მ. ჩიგორინთან. ეს შედეგი, აღნიშნავდა სტეინიცი, უფლებას გვაძლევს ვილაპარაკოთ ჰუნსბერგზე, როგორც ჩვენი დროის უძლიერეს ოსტატზე.

ორთაბრძოლა დაძაბულად მიმდინარეობდა, თუმცა სტეინიცი როგორღაც უინტერესოდ თამაშობდა. იგრძნობოდა მისი ასაკიც (54 წელი). ჰუნსბერგი, თუ შესაძლებლობა ჰქონდა, ყაიმს სჯერდებოდა. ამიტომ ეს მატჩი თავისი შედეგიანობით დიდად განსხვავდება სტეინიცის მატჩებისგან ცუკერტორტთან და ჩიგორინთან, სადაც უკიდურესად დაძაბული და პრინციპული აზრთა ჭიდილი იყო.

აი, სტეინიც — ჰუნსბერგის მატჩის მსვლელობაც: 0,5:0,5, 1,5:0,5, 2:1, 2:2, 2:3, 3:3, 4:3, 4,5:3,5, 5:4, 6:4 6,5:4,5, 6,5:5,5, 7,5:5,5, 8:6, 8,5:6,5, 8,5:7,5, 9:8, 10:8, 10,5:8,5. როგორც ხედავთ, სტეინიცმა 6 პარტია მოიგო, 4 წააგო და 9 ყაიმით დაამთავრა. ჰუნსბერგი მხოლოდ ერთხელ, მეხუთე პარტიის შემდეგ დაწინაურდა. შემდეგ ანგარიში სტეინიცს მიჰყავდა.

შეხვედრის დამთავრებისას სტეინიცი წერდა, რომ ჰუნსბერგმა ყველაზე უკეთეს შედეგს მიაღწია, მათგან, ვისაც კი ოცდაათი წლის მანძილზე შეხვედრია პროფესორ ანდერსენის გარდაო. მიმომხილველების აზრით, ჰუნსბერგი ამდენ პარტიას ვერ მოიგებდა, სტეინიცს რომ ევანსის გამბიტში თავისი საეჭვო გაგრძელება რამდენჯერმე არ გამოეყენებინა. ამის გამო იგი ორ პარტიაში დამარცხდა.

სტეინიცის გამარჯვებას ფართოდ გამოეხმაურნენ გაზეთები, საჭადრაკო ჟურნალები და ცნობილი მოჭადრაკეები. ყველაზე მეტი ყურადღება მიიქცია გერმანელი მაესტროს ზ. ტარაშის წერილებმა. 28 წლის ტარაში დიდი მომავლის მოჭადრაკედ იყო აღიარებული. მას თვალსაჩინო წარმატებებიც ჰქონდა. ტარაში მთლიანად იზიარებდა მსოფლიო ჩემპიონის მოძღვრებას და მისი სიკვდილის შემდეგ „ახალი სკოლის“ მებაირახტრე გახდა.

„მორფი და ცუკერტორტი, — წერდა ტარაში, — ძალიან დიდი ტალანტები იყვნენ, მაგრამ არც ერთს არ შეიძლება გენიოსი ვუწოდოთ. სტეინიცი კი გენიოსია. იგი ახლის შემქმნელია. თანამედროვე თამაშის მთელი სისტემა მისი ნააზრია. და თუ პრაქტიკულ თამაშში მორფი და 1883 წლისდროინდელი ცუკერტორტი სჯობნიდნენ მას, სამაგიეროდ, როგორც ჭადრაკის მოაზროვნე, იგი მეტოქეებზე დიდი იყო“.

ყველას, სტეინიცის გარდა, ენიშნა ტარაშის შემდეგი სიტყვები: „ჰუნსბერგმა ვერ დაამარცხა სტეინიცი, მაგრამ აჩვენა, რომ შეიძლება მისი დამარცხება. საჭიროა მხოლოდ ცოტა მეტი სიმწვავე იერიშში, ცოტა მეტი შეუპოვრობა დაცვაში“...

თ. გიორგაძე.

## ბ. დ. ფროლოვი



თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა ძველ პლეადას გამოაკლდა მისი ღირსეული წარმომადგენელი, სკკპ წევრი 1947 წლიდან, სპორტის ოსტატი ბორის დიმიტრის ძე ფროლოვი.

იგი დაიბადა 1915 წელს ბათუმში, აქვე მიიღო საშუალო განათლება და პირველი ნათლობა სპორტში. მისდევდა რამდენიმე სახეობას. წარმატებები ნიჭიერ ჭაბუკს ყველგან საკმარისად ჰქონდა, მაგრამ ფეხბურთის სიყვარულმა ყველა სხვა დანარჩენს სძლია და საბოლოო არჩევანიც უყოყმანოდ იქნა გაკეთებული.

ბორის ფროლოვის გზა დიდ ფეხბურთში დაიწყო მაშინ, როცა 1937 წელს სსრ კავშირის თასზე ერთმანეთს შეხვდნენ თბილისისა და ბათუმის დინამოელები. ბათუმელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს სახელოვან მეტოქეებს. პირველი შეხვედრა დამთავრდა ფრედ, მხოლოდ მეორე მატჩი და ისიც მინიმალური უპირატესობით მოიგეს თბილისელებმა და ამ ასპარეზობებში კარგად გამოჩნდა ბათუმელთა მცველის ბორის ფროლოვის დიდი ტალანტი. იგი მიიწვიეს თბილისის „დინამოში“, სადაც მან 10 წელი ითამაშა ცენტრალურ მცველად და დიდი ამაგი დასდო საყვარელი გუნდის წარმატებებს.

თბილისის „დინამოს“ მრავალ საპასუხისმგებლო მატჩში მიიღო მონაწილეობა ბ. ფროლოვმა და არ ყოფილა შემთხვევა, ოდნავი შეღავათი მაინც მიეცა საკუთარი თავისთვის, თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალება დაეტოვებინა მეტოქისთვის, არ დახმარებოდა მაქსიმალური შესაძლებლობით პარტნიორებს. ამის გამო მან გულშემატკივართა ფართო წრეების სიყვარული და სიმპათია დაიმსახურა. მას კავშირი არ გაუწყვეტია სპორტთან და მშობლიურ ბათუმში დაბრუნების შემდეგაც, ავტომექანიკოსად მუშაობის პარალელურად, ავარჯიშებდა ნორჩ ფეხბურთელთა გუნდებს.

შესანიშნავი სპორტსმენისა და მოქალაქის ბ. ფროლოვის ხსოვნა მარად დარჩება მის ახლობელთა და მეგობართა შორის.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, რესპუბლიკური სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო, თბილისის „დინამოს“ ვეტერანი ფეხბურთელები.

## ფეხბურთი

●

## ჩემპიონატები, გარდაქმნები, ლიდერები

### ინგლისი

მეორე წრის დასაწყისიდან „ნოტინჰემ ფორესტმა“ კიდევ უფრო უმატა ტემპს და ახლა ჩემპიონობის ყველაზე უფრო სერიოზული პრეტენზიები გააჩნია.

23-ე ტურში „ნოტინჰემ ფორესტი“ ბრისტოლში ეთამაშა ადგილობრივ „ბრისტოლ სიტის“. ლიდერს დიდი უპირატესობა ჰქონდა და გაიმარჯვა კიდეც — 3:1. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლიდერის უახლოესი მდევრების „ევერტონისა“ და „არსენალის“ შეხვედრას. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვა „ევერტონმა“. გოლები გაიტანეს ლეჩფორდმა (ეს მისი მე-20 ბურთია ამ ჩემპიონატში) და კინგმა.

ტურის დანარჩენი შედეგები ასეთია: „ბირმინგამ სიტი“ — „ჩელსი“ 4:5, „კოვენტრი სიტი“ — „მანჩესტერ იუნაიტედი“ 3:0, „იფსვიჩ თაუნი“ — „დერბი ქაუნთი“ 1:2, „მანჩესტერ სიტი“ — „ასტონ ვილა“ 2:0, „მიდლსბრო“ — „ნორვიჩ სიტი“ 2:2, „ნიუკასლ იუნაიტედი“ — „ლივერპული“ 0:2, „ქუინზ პარკ რეინჯერსი“ — „ვულვერჰემპტონ უონდერერსი“ 1:3, „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ — „ლიდს იუნაიტედი“ 1:0, „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ — „ლესტერ სიტი“ 3:2.

23 ტურის შემდეგ „ნოტინჰემ ფორესტმა“ 36 ქულა მოაგროვა, „ევერტონს“ 31 ქულა აქვს, „ლივერპულს“ — 30, „არსენალს“ — 29, „მანჩესტერ სიტისა“ და „კოვენტრი სიტის“ — 28-28 ქულა.

### გფრ

20 ტურის შემდეგ კიდევ უფრო განმტკიცდა „კიოლნის“ წამყვანი პოზიციები. იგი ბრემენში ეთამაშებოდა ადგილობრივ „ვერდერს“ და გაიმარჯვა ანგარიშით 2:0. მოულოდნელი იყო „ბორუსიას“ (მიონჰენგლადბახი) დამარცხება (1:3) საკუთარ მინდორზე „დიუსბურგთან“.

აი, ტურის დანარჩენი მატჩების შედეგები: „საარბრიუკენი“ — „შტუტგარტი“ 1:1, „შალკე 04“ — „კაიზერსლაუტერნი“ 3:0, „ბაიერნი“ (მიუნხენი) — „ფორტუნა“ (დიუსელდორფი) 0:0, „აინტრაჰტი“ (ბრაუნშვაიგი) — „სტ პაული“ 2:0, „ჰამბურგერ შპორტფერაინი“ — „აინტრაჰტი“ (მაინის ფრანკფურტი) 0:0, „ბორუსია“ (დორტმუნდი) — „მიუნხენ 1860“ 1:3, „ჰერტა“ (დას. ბერლინი) — „ბოხუმი“ 4:3.

20 ტურის შემდეგ „კიოლნს“ 28 ქულა აქვს, „ჰერტას“ — 24, „ბორუსიას“ (მიონჰენგლადბახი), „შტუტგარტსა“ და „კაიზერსლაუტერნს“ — 23 ქულა თითოეულს.



● დევისის თასი — ავსტრალიელებს

● არგენტინელი გილერმო ვილასის მოულოდნელი გამარჯვებები

● კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური ჯიმი კონორსის გარეშე

* * *

სურათებზე: უიმბლდონის ტურნირის ფინალისტები ვ. უეიდი (მარცხნივ) და კ. ევერტი.



# გასული სეზონის შედეგები

## ჩოგბურთი

პარიზი. „ავსტრალიის გუნდმა მოიპოვა დევისის თასი, არგენტინელმა გილერმო ვილასმა ბევრისთვის მოულოდნელად მოიგო აშშ-ისა და საფრანგეთის ღია ჩემპიონატები, ვირჯინია უეიდმა და ბიორნ ბორგმა უიმბლდონის საიუბილეო ტურნირზე ყველას აჯობეს ერთეულთა თანრიგში, ცნობილი ამერიკელი ჩოგბურთელი ჯიმი კონორსი გასული წლის დიდ ტურნირებში ვერც ერთხელ ვერ ავიდა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე“, — წერს ფრანს პრესის კორესპონდენტი ჩოგბურთელთა 1977 წლის გამოსვლების შედეგთა შეჯამებისას.

უიმბლდონში ერთ-ერთი საუკეთესო იყო ფინალური მატჩი ბორგსა და კონორსს შორის. კონორსმა ბრწყინვალედ ითამაშა დაცვაში და დასკვნით პარტიაში, როცა ანგარიში იყო 0:4, მეტოქეს დაეწია — 4:4. სამსაათიანი მატჩის შემდეგ მხოლოდ ბორგის ჩინებულმა თამაშმა გადაწონა სასწორი მის მხარეს.

ინგლისელმა ვირჯინია უეიდმა სასიხარულო წუთები განაცდევინა თანამემამულეებს, როცა უიმბლდონის ტურნირის ჩემპიონის წოდება მოიპოვა. იგი მეთექვსმეტედ გამოვიდა უიმბლდონის ტურნირზე და ბოლოს და ბოლოს შეძლო ნახევარფინალში მრისხანე მეტოქის — კრის ევერტის (აშშ) დამარცხება.

უიმბლდონის საიუბილეო ტურნირმა ახალი საინტერესო მოთამაშეები გამოავლინა. პირველ რიგში ეს ითქმის 14 წლის ამერიკელ ტრეისი ოსტინსა და მის თანამემამულე 18 წლის ჯონ მაკინროიზე, რომელიც პირდაპირ „შეიჭრა“ ჯილდოს პრეტენდენტთა წრეში და ტურნირების ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ნახევარფინალისტი გახდა ვაჟთა შორის ერთეულთა თანრიგში.

მიუხედავად ილიე ნასტასეს დაპირებისა, რომ შეცვლიდა თავის საქციელს, იგი კვლავინდებურად გატაცებული იყო მუდმივი პროტესტებით. დიახ, ნიჭიერმა რუმინელმა მოთამაშემ ვერ შეძლო მოეთოკა თავისი ტემპერამენტი და ამიტომ ვერ მიაღწია მნიშვნელოვან გამარჯვებას.

„ორმაგბადიანმა“ ახალმა ჩოგნებმა სენსაცია მოახდინეს ფორესტ-ჰილში. ნაკლებად ცნობილი 22 წლის ნიუიორკელი ჩოგბურთელის მ. ფიშბეკის გამოსვლას, რომელიც „შეიარაღებული“ იყო ახალი ჩოგნით, „აფეთქებული ყუმბარის ეფექტი“ ჰქონდა. იგი მეტოქეს მეტოქეზე ამარცხებდა. სხვა ჩოგბურთელთა საბედნიეროდ, ჩოგანი-საოცრება, რომელიც აძლიერებდა ბურთის ტრიალს და გატყორცნილ ბურთს აძლევდა კოლოსალურ სისწრაფესა და ძალას, ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ აკრძალა ოქტომბრის კონგრესზე.

ფორესტ-ჰილის ტურნირის ფინალში მოულოდნელად გაიმარჯვა არგენტინელმა გილერმო ვილასმა, რომელმაც 3,5-საათიანი ბრძოლის შემდეგ დაამარცხა სეზონის უიღბლო ჩოგბურთელი კონორსი. ვილასის ბრწყინვალე თამაშის წყალობით არგენტინის გუნდი პირველად გავიდა დევისის თასის გათამაშების ნახევარფინალში, თუმცა აქ ავსტრალიის ნაკრებთან დამარცხდა. მეორე ნახევარფინალში იტალიელებმა იოლად სძლიეს საფრანგეთის ჩოგბურთელებს.

ფინალში, რომელიც სიდნეიში დიდ სიცხეში ჩატარდა, ერთეულთა ორივე შეხვედრა ავსტრალიელებმა — 32 წლის ტონი როჩმა და 26 წლის ჯონ ალექსანდერმა მოიგეს. წყვილთა შორის უძლიერესები იყვნენ იტალიელები, მაგრამ მათ წარმატების ყველა იმედი გადაეწურათ, როცა ალექსანდერმა ოთხსაათიანი ორთაბრძოლის შემდეგ აჯობა საუკეთესო იტალიელ ჩოგბურთელს ადრიან პანატას.

„გრან-პრის“ ტურნირების დონის ამაღლების მიზნით, ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ განაცხადა, რომ ადმინისტრაციულ ზომებს მიიღებს იმ ქვეყნების ფედერაციების წინააღმდეგ, რომლებიც საჩვენებელ შეხვედრებს ჩაატარებენ ოფიციალური ნებართვის მიღების გარეშე. ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა დევიდ გრეიმ თქვა: „გრან-პრის“ ტურნირების — აშშ-ის, საფრანგეთისა და იტალიის ღია ჩემპიონატები და უიმბლდონის ტურნირის — ორგანიზატორებს უფლება აქვთ მოითხოვონ, რომ მათში საუკეთესო ჩოგბურთელებმა იასპარეზონ. ახლახან ჩატარებულ შეჯიბრებებში საკმაოდ ბევრი „ვარსკვლავი“ არ მონაწილეობდა, ისინი გაზრდილი ჰონორარის წყალობით საჩვენებელ შეხვედრებში საასპარეზოდ გადაიბირეს“. (საკდესი).

## თხილამურები

# თოვლიან ბილიკებზე

რაც უფრო ახლოვდება მოთხილამურეთა ლაშქრის მსოფლიო ჩემპიონატი, მით უფრო ხშირად ეწყობა საერთაშორისო ტურნირები და ეროვნული ჩემპიონატები, სადაც მსოფლიო პირველობის პრეტენდენტები ერთხელ კიდევ ამოწმებენ ძალებს.

ორჭიდელთა ერთი ასეთი შეჯიბრება ჩატარდა ობერჰოფში (გდრ). ტურნირი მასპინძელთა უპირატესობით აღინიშნა. ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა უ. ველინგმა 439,265 ქულა მოაგროვა და პირველობა მოიგო. II ადგილზეც მსოფლიო ჩემპიონი (ოღონდ იუნიორთა შორის) გ. შმიდერი (გდრ) გავიდა — 430,835.

აქვე, 30 კილომეტრზე რბენაში იმარჯვა მათმა თანაგუნდელმა ა.-ჰ. დეკერტმა — 1:28.51,71.

„მფრინავ მოთხილამურეთა“ ასპარეზობაში გდრ-ის ნაკრების ყველაზე ახალგაზრდა მონაწილემ 19 წლის კ. ოსვალდმა 121 მეტრი იფრინა და დაამყარა ტრამპლინის ახალი რეკორდი, რომელიც ი. დანებერგის ძველ მიღწევას 2 მეტრით სჯობს. პირველობა მოიგო ჰ. გლასმა (გდრ) — 251,1 ქულა (ნახტომები — 107,112 მ.).

რეიტიმ-ვინკლის (გფრ) მიდამოებში ჩატარებულ მორბენალთა საერთაშორისო შეჯიბრებაში ვაჟების 3×10 კილომეტრზე ესტაფეტა მოიგეს შვეციის პირველმა და მეორე გუნდებმა, რომლებმაც შესაბამისად 1:34.53,9 და 1:35.39,0 აჩვენეს. ფინელი მოთხილამურენი III ადგილს დასჯერდნენ. შვედმა ლუნდბეკმა 15 კილომეტრზე ასპარეზობაში იმარჯვა — 47.45,16. მოსკოველი ლ. ლუკიანოვი ფინიშთან მეექვსე იყო.

ქალთა შორის 3×5 კილომეტრზე ესტაფეტა ნორვეგიელების უპირატესობით ჩატარდა. მათ (54.33,08) შვეიცარიელები თითქმის 4 წუთით ჩამოიტოვეს.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.
77 ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 01928